

# სააქციო საზოგადოება

## ლიბერთი ბანკი

### წესდება

(ახალი რედაქცია)

## სარჩევი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები .....	3
მუხლი 2. ბანკის საქმიანობა .....	3
მუხლი 3. საწესდებო კაპიტალი, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები.....	4
მუხლი 4. ბანკის აქციონერები .....	5
მუხლი 5. მოგების განაწილება .....	6
მუხლი 6. ბანკის მართვის სტრუქტურა.....	6
მუხლი 7. აქციონერთა საერთო კრება .....	6
მუხლი 8. სამეთვალყურეო საბჭო .....	8
მუხლი 9. დირექტორატი .....	11
მუხლი 10. აუდიტის კომიტეტი და შიდა კონტროლი.....	13
მუხლი 11. გარიგებები დაკავშირებულ პირებთან .....	14
მუხლი 12. კონფიდენციალურობა .....	14
მუხლი 13. ბანკის საქმიანობის შეწყვეტა .....	14
მუხლი 14. ფილიალები.....	14
მუხლი 15. სხვადასხვა დებულებები.....	15

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- 1.1. სააქციო საზოგადოება “ლიბერთი ბანკი” (შემდგომში “**ბანკი**”) არის სააქციო საზოგადოება, რომელიც დაფუძნდა და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია საიდენტიფიკაციო ნომრით 203828304;
- 1.2. ბანკს აქვს საფირმო სახელწოდება, ბეჭედი, ლოგო და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები:
  - სრული დასახელება ქართულად: **სააქციო საზოგადოება “ლიბერთი ბანკი”**;
  - სრული დასახელება ინგლისურად: **Joint Stock Company “Liberty Bank”**;
- 1.3. ბანკის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი 0162, ი. ჭავჭავაძის გამზირი #74;
- 1.4. ბანკის საქმიანობის ვადა განუსაზღვრელია;
- 1.5. ბანკის ფისკალური წელი ემთხვევა კალენდარულ წელს. ის შეადგენს 12 თვეს, იწყება 1 იანვარს და მთავრდება 31 დეკემბერს;
- 1.6. ბანკი შექმნილია არაერთჯერადი და დამოუკიდებელი სამეწარმეო საქმიანობის საფუძველზე მოგების მიღების მიზნით;
- 1.7. ბანკს გააჩნია განცალკევებული ქონება, შეუძლია თავისი სახელით გამოვიდეს სამართლებრივ ურთიერთობებში, შეიძინოს ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები, იკისროს მოვალეობები, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე საერთო, საარბიტრაჟო და სამედიატორო სასამართლოებში;
- 1.8. ბანკს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, შეუძლია გახსნას საანგარიშსწორებო და სხვა სახის ანგარიშები (მათ შორის სავალუტო ანგარიშები) საქართველოსა და უცხოეთში;
- 1.9. ბანკი პასუხს არ აგებს თავისი აქციონერების ვალდებულებებზე, ხოლო ბანკის აქციონერები ბანკის ვალდებულებებზე პასუხს აგებენ ბანკის საწესდებო კაპიტალში თავიანთი შეუტანელი შესატანის ფარგლებში.
- 1.10. ბანკს გააჩნია კანონით დადგენილი ქონებრივი უფლებები სხვადასხვა სასაქონლო ნიშნებთან მიმართებით, მათ შორის საფირმო სახელწოდებასთან “სახალხო ბანკი”, რომლებსაც გეგმავს გამოიყენოს სხვადასხვა საბანკო პროდუქტებისა და გარიგებებისათვის; ბანკი უფლებამოსილია აწარმოოს საქმიანობა საფირმო სახელწოდებით “სახალხო ბანკი”, გააკეთოს ნებისმიერი საჯარო განცხადება აღნიშნული საფირმო სახელწოდების გამოყენებით და თავის საქმიანობაში, არსებულ რეგისტრირებულ სახელწოდებასთან ერთად, სხვაგვარად გამოიყენოს საფირმო სახელწოდება “სახალხო ბანკი”.

## მუხლი 2. ბანკის საქმიანობა

- 2.1. ბანკი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს 1994 წლის 28 ოქტომბრის „მეწარმეთა შესახებ“ (მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით) და 1996 წლის 23 თებერვლის „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ (მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით) საქართველოს კანონებით, საქართველოს ეროვნული ბანკის, საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოსა და ცენტრალური ბანკის ფუნქციის მქონე ნებისმიერი სხვა სამსახურის ან საქართველოში საბანკო სექტორის მარეგულირებელი ფუნქციის მქონე სამსახურის ნორმატიული აქტებით, ინსტრუქციებითა და საადრიცხვო პროცედურებით, საბანკო ლიცენზიებზე თანდართული ადმინისტრაციული და საბუღალტრო პროცედურებით, პირობებითა და შეზღუდვებით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებითა და ამ წესდებით. იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს ამა თუ იმ მიმართულების საბანკო საქმიანობისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის, საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოსა და ცენტრალური ბანკის ფუნქციის მქონე ნებისმიერი სხვა სამსახურის ან საქართველოში საბანკო სექტორის მარეგულირებელი ფუნქციის მქონე სამსახურის მიერ დადგენილი წესი, ბანკი იმოქმედებს საერთაშორისო საბანკო პრაქტიკის შესაბამისად;
- 2.2. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე, ბანკი ეწევა საკრედიტო, საფინანსო, საანგარიშსწორებო, საკასო და სხვა საბანკო მომსახურებას, მათ შორის:
  - 2.2.1. პროცენტური და უპროცენტო დეპოზიტების (მოთხოვნამდე, ვადიანი და სხვა) და სხვა დაბრუნებადი გადახდის საშუალებების მოზიდვა;
  - 2.2.2. სესხების გაცემა სამომხმარებლო, იპოთეკური, არაუზრუნველყოფილი და სხვა კრედიტების ჩათვლით, ფაქტორინგული ოპერაციები რეგრესის უფლებით და ამ უფლების გარეშე, კომერციულ გარიგებათა დაფინანსება, გარანტიების, აკრედიტივებისა და აქცეპტების გამოცემა ფორფეტირების ჩათვლით;
  - 2.2.3. საკუთარი და კლიენტთა სახსრებით ფულადი საბუთების (ჩეკების, თამასუქებისა და დეპოზიტარული სერტიფიკატების ჩათვლით), ფასიანი ქაღალდების, ფიჭერსებისა და ოფიონების სავალო ინსტრუმენტებით ან საპროცენტო განაკვეთებით, სავალუტო და საპროცენტო ინსტრუმენტების, სავალო საბუთების, უცხოური ვალუტის, ძვირფასი ლითონების და ძვირფასი ქვების ყიდვა-გაყიდვა;
  - 2.2.4. ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაციების და საკასო-საინკასაციო მომსახურების განხორციელება;
  - 2.2.5. გადახდის საშუალებების გამოშვება და მათი მიმოქცევის ორგანიზება (საგადასახადო ბარათების, ჩეკებისა და საბანკო ტრასტების ჩათვლით);
  - 2.2.6. საშუამავლო მომსახურება საფინანსო ბაზარზე;
  - 2.2.7. კლიენტების დავალებით ნდობით (სატრასტო) ოპერაციების განხორციელება, სახსრების მოზიდვა და განთავსება;
  - 2.2.8. ფასეულობათა შენახვა და აღრიცხვა, ფასიანი ქაღალდების ჩათვლით;
  - 2.2.9. საკრედიტო-საცნობარო მომსახურება;

- 2.2.10. საგადახდო მომსახურების განხორციელება, საგადახდო სისტემის ოპერირება, ანგარიშსწორების აგენტის ფუნქციების შესრულება;
- 2.2.11. ზემოთ ჩამოთვლილ ნებისმიერ საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურება;
- 2.2.12. ნებისმიერი სახის სხვა საბანკო საქმიანობა, რომლის განხორციელების უფლებაც ბანკს გააჩნია საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში;
- 2.3. თავისი საქმიანობის განხორციელებისას ბანკი ვალდებულია დაიცვას საქართველოს ეროვნული ბანკის, საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოსა და ცენტრალური ბანკის ფუნქციის მქონე ნებისმიერი სხვა სამსახურის ან საქართველოში საბანკო სექტორის მარეგულირებელი ფუნქციის მქონე სამსახურის მიერ დადგენილი ეკონომიკური ლიმიტები, სტანდარტები და ეკონომიკური ნორმატივები;
- 2.4. ბანკი ვალდებულია დაიცვას საქართველოს საბანკო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესები და დებულებები სხვა იურიდიულ პირებში წილების/აქციების მფლობელობასთან დაკავშირებით.

### **მუხლი 3. საწესდებო კაპიტალი, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები**

- 3.1. ბანკის განცხადებული (ნებადართული) საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება 300,000,000 (სამასი მილიონი) ლარის ოდენობით;
- 3.2. ბანკის განცხადებული (ნებადართული) საწესდებო კაპიტალი დაყოფილია 29,000,000,000 (ოცდაცხრა მილიარდი) ცალ ჩვეულებრივ აქციად და 1,000,000,000 (ერთი მილიარდი) პრივილეგირებულ აქციად. თითოეული ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციის ნომინალური ღირებულება შეადგენს 0.01 ლარს. ბანკის აქციონერთა საერთო კრებაზე თითოეული ჩვეულებრივი აქცია მის მფლობელს ანიჭებს ერთი ხმის უფლებას;
- 3.3. ბანკს უფლება აქვს კანონით გათვალისწინებული წესით და წინამდებარე წესდების შესაბამისად გამოუშვას პრივილეგირებული აქციები. ამგვარი პრივილეგირებული აქციები წარმოადგენს განთავსებული კაპიტალის ნაწილს და უზრუნველყოფს დივიდენდების მიღებას დადგენილი განაკვეთით. პრივილეგირებულ აქციებზე დივიდენდის განაკვეთის დადგენა და მისი მიღების წესი განისაზღვრება სათანადო ემისიის პროსპექტით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პრივილეგირებული აქციები არ იძლევა ხმის უფლებას აქციონერთა საერთო კრებაზე;
- 3.4. ბანკის ახლად ემიტირებული ერთი აქციის შესყიდვის ფასი არ უნდა იყოს ერთი აქციის ნომინალურ ღირებულებაზე ნაკლები;
- 3.5. ბანკის აქციონერებს აქვთ უპირატესი შესყიდვის უფლება ბანკის მიერ ემიტირებულ ახალ აქციებზე იმ პროპორციით, რომელიც არსებობდა უშუალოდ ახლად ემიტირებული აქციების გამოშვებამდე აქციონერების მფლობელობაში არსებული აქციების ნომინალურ ღირებულებასა და ბანკის განთავსებული აქციების ნომინალურ ღირებულებას შორის. იმ ახალი აქციების ემისიისას, რომელთა მიმართ არ გაუქმებულა უპირატესი შესყიდვის უფლება, ბანკი თავის აქციონერებს აცნობებს აქციების ამგვარი ემისიისა და უპირატესი შესყიდვის უფლების თაობაზე შესაბამისი შეტყობინების ბუკდვით ორგანოში გამოქვეყნების გზით. აქციათა სულ მცირე ერთი პროცენტის (1%) მფლობელებს (ან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, უფრო მცირე ოდენობის წილის მფლობელ აქციონერებსაც) შეტყობინება მიეწოდებათ წერილობითი ფორმით, დაზღვეული წერილის მეშვეობით. აქციონერებმა, რომელთაც სურთ უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენება, აქციები უნდა შეიძინონ შეტყობინების თარიღიდან 20 (ოცი) დღის ვადაში. აღნიშნული ვადის შემდეგ უპირატესი შესყიდვის უფლება ჩაითვლება გაუქმებულად. წესდების ქვემომთმობეული 3.9 და 3.10 მუხლების შესაბამისად, უპირატესი შესყიდვის უფლება არ შეეხება (i) ნებადართული, მაგრამ განუთავსებელი კაპიტალის ფარგლებში ემიტირებულ აქციებს, რომლებიც აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით გამიზნულია ბანკის თანამშრომლებზე გასაცემად; (ii) სახაზინო აქციებს, მათი ხელახალი განთავსების შემთხვევაში. ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, ახლად ემიტირებულ აქციებზე უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმება (ან მასზე უარის თქმა) უნდა მოხდეს აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, წინამდებარე წესდების შესაბამისად;
- 3.6. ბანკის აქციათა რეესტრის წარმოება უნდა განხორციელდეს დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით, დადგენილი პროცედურების შესაბამისად, თუ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;
- 3.7. ბანკს უფლება აქვს გამოუშვას ჩვეულებრივ ან/და პრივილეგირებულ აქციებად კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდები;
- 3.8. ბანკის სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ნებადართული კაპიტალის ფარგლებში ახალი აქციების ემისიის შესახებ. ახალი აქციების ემისიის შესახებ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებაში მითითებული იქნება ამგვარი ახლად ემიტირებული აქციების რაოდენობა, კლასი (იმ შემთხვევაში თუ ნებადართული კაპიტალი დაყოფილია სხვადასხვა კლასის აქციებად) და საემისიო აქციების მინიმალური ფასი, ასევე ამგვარი აქციების ემისიის ვადა ან/და სხვა პირობები. სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ახალი აქციების ემისიის შესახებ შესასრულებს ბანკის დირექტორატი;
- 3.9. იმ შემთხვევაში, თუ ბანკის აქციონერთა საერთო კრება მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, ნებადართული, მაგრამ განუთავსებელი კაპიტალის ნაწილი (ან მთლიანად ნებადართული, მაგრამ განუთავსებელი კაპიტალი) შეიძლება განკუთვნილ იქნას თანამშრომლებზე გასაცემად, იმ პირობებით, როგორც ამას გადაწყვეტს ბანკის სამეთვალყურეო საბჭო. ასეთ შემთხვევაში, თანამშრომლებზე გასაცემად განკუთვნილი ნებადართული, მაგრამ განუთავსებელი კაპიტალი (ან მისი ნაწილი) დაუშვებელია ემიტირებულ იქნეს ნებისმიერი სხვა მიზნით. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, უპირატესი შესყიდვის უფლება არ გავრცელდება

აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით თანამშრომლებზე გასაცემად განკუთვნილ ნებადართულ, მაგრამ განუთავსებელ კაპიტალზე (ან მის ნაწილზე);

3.10. ბანკის მიერ საკუთარი აქციების გამოსყიდვა დასაშვებია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით. გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული აქციების სავალდებულო გამოსყიდვისა, ბანკს უფლება აქვს საკუთარი სურვილისამებრ შეიძინოს და შემდგომში გაყიდოს თავისი აქციები („სახაზინო აქციები“). სახაზინო აქციების რაოდენობა არც ერთ მომენტში არ უნდა აღემატებოდეს განთავსებული აქციების 25%-ს (ოცდახუთი პროცენტი). ხმის დათვლის, დივიდენდის განაწილების, ლიკვიდაციის დროს და აქციების ფლობიდან გამომდინარე სხვა უფლებების რეალიზაციის მიზნებისათვის - ბანკის მფლობელობაში არსებული სახაზინო აქციები მხედველობაში არ მიიღება. იგივე წესი ვრცელდება ბანკის შვილობილი საწარმოების საკუთრებაში არსებულ აქციებზე, იმის გათვალისწინებით, რომ ბანკის შვილობილი საწარმოების მიერ მათი კლიენტების სახელით აქციების მფლობელობის შემთხვევაში (ანუ, როდესაც შვილობილი საწარმოები მოქმედებენ როგორც აქციათა ნომინალური მფლობელები), მათ აქვთ ხმის მიცემის, დივიდენდების მიღებისა და სხვა მსგავსი უფლებები. ბანკის აქციების ნებისმიერი სახით გამოსყიდვა და ბანკის მიერ სახაზინო აქციების ნებისმიერი სახით ყიდვა ან/და გაყიდვა დასაშვებია მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს წინასწარი თანხმობის საფუძველზე.

3.11. ბანკი უფლებამოსილია, სამეთვალყურეო საბჭოს წინასწარი თანხმობის საფუძველზე გამოუშვას ობლიგაციები და სხვა ფასიანი ქაღალდები.

#### მუხლი 4. ბანკის აქციონერები

4.1. ბანკის აქციონერებს წარმოადგენენ პირები, რომლებიც დადგენილი წესისა და დებულებების თანახმად ფლობენ ბანკის აქციებს და რეგისტრირებულნი არიან ბანკის აქციათა რეესტრში. ბანკის აქციონერები შეიძლება იყვნენ საქართველოში და/ან საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირები, საქართველოსა და/ან სხვა ქვეყნების მოქალაქეები;

4.2. აქციონერებს უფლება აქვთ:

4.2.1. პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით დაესწრონ აქციონერთა საერთო კრებას და მონაწილეობა მიიღონ კენჭისყრაში (მხოლოდ ჩვეულებრივი აქციების მფლობელებს);

4.2.2. მონაწილეობა მიიღონ მოგების განაწილებაში და მიიღონ დივიდენდები მათ მფლობელობაში არსებული აქციების რაოდენობის პროპორციულად;

4.2.3. განკარგონ საკუთარი აქციები მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

4.2.4. ბანკის ლიკვიდაციის შემთხვევაში, კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ დარჩენილი ქონებიდან მიიღონ თავიანთ მფლობელობაში არსებული აქციების შესაბამისი წილი;

4.2.5. განთავსებული აქციების 5%-ის (ხუთი პროცენტი) ან მეტის მფლობელებს უფლება აქვთ მოითხოვონ სამეურნეო მოქმედებების ან მთლიანი წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება, თუ ისინი გონივრული განსჯის ფარგლებში მიიჩნევენ, რომ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი დარღვევა. გამოშვებული, გადახდილი და განთავსებული ჩვეულებრივი აქციების 30%-ის (ოცდაათი პროცენტი) ან მეტის მფლობელ აქციონერებს აქვთ ინფორმაციის მიღების, შემოწმების და გადახედვის უფლება მნიშვნელოვანი დარღვევის მტკიცების საჭიროების გარეშე. ასეთი მოთხოვნა წერილობითი ფორმით უნდა იქნას წარდგენილი სამეთვალყურეო საბჭოსთვის. მოთხოვნის მიღებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია:

4.2.5.1. დაავალოს ბანკის დირექტორატს უზრუნველყოს სპეციალური შემოწმების ჩატარება ბანკის ხარჯებით, თუკი სამეთვალყურეო საბჭო იზიარებს აქციონერ(ებ)ის ეჭვს; ან

4.2.5.2. უარი განაცხადოს ბანკის ხარჯებით სპეციალური შემოწმების განხორციელებაზე და მისცეს უფლება აღნიშნულ აქციონერ(ებ)ს საკუთარი ხარჯებით ჩაატარონ ამგვარი შემოწმება, თუკი სამეთვალყურეო საბჭოს გონივრული განსჯის ფარგლებში მიიჩნევენ, რომ ადგილი არ ჰქონია რაიმე მნიშვნელოვან დარღვევას. ასეთ შემთხვევაში, თუ შემოწმების შედეგად გამოვლინდება რაიმე მნიშვნელოვანი დარღვევა, ბანკი აუნაზღაურებს აქციონერ(ებ)ს შემოწმების ჩატარებისას გაწეულ ნებისმიერ ხარჯს;

4.2.6. განთავსებული აქციების 5%-ის (ხუთი პროცენტი) ან მეტის მფლობელებს უფლება აქვთ მოითხოვონ აქციონერთა რიგგარეშე კრების მოწვევა. მოთხოვნა წერილობით უნდა წარედგინოს ბანკის დირექტორატს ან სამეთვალყურეო საბჭოს. ბანკის დირექტორატი ან სამეთვალყურეო საბჭო მოიწვევს აქციონერთა რიგგარეშე კრებას ასეთი წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში. განთავსებული აქციების 5%-ის (ხუთი პროცენტი) ან მეტის მფლობელებს არ აქვთ უფლება მოითხოვონ აქციონერთა რიგგარეშე კრების მოწვევა ბოლო აქციონერთა საერთო კრების თარიღიდან ერთი თვის განმავლობაში;

4.2.7. ნებისმიერ აქციონერს აქვს უფლება დირექტორატისა და სამეთვალყურეო საბჭოსგან მოითხოვოს განმარტებები აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგის თითოეულ პუნქტთან დაკავშირებით. თუკი ამგვარი მოთხოვნა წერილობითი ფორმით იქნა წარდგენილი აქციონერთა საერთო კრების ჩატარების თარიღამდე 10 (ათი) დღით ადრე, მოთხოვნა უნდა შესრულდეს ან განხილულ იქნას დღის წესრიგის ერთ-ერთ საკითხად;

4.2.8. აქციონერს არ შეუძლია გამოიყენოს საკუთარი ხმის უფლება იმ შემთხვევაში, თუ დღის წესრიგის რომელიმე საკითხი ეხება პოტენციურ გარიგებას, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ასეთ აქციონერსა და ბანკს შორის.

## მუხლი 5. მოგების განაწილება

5.1. მოგების განაწილების წესები:

5.1.1. წლიური აუდიტორული შემოწმების დასრულებიდან ერთი თვის განმავლობაში (მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, წლიური აქციონერთა საერთო კრების ჩატარებამდე სულ მცირე ერთი თვით ადრე) ბანკის დირექტორატმა უნდა მოამზადოს წინადადება მოგების განაწილების შესახებ და წარუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად. მოგების განაწილების შესახებ წინადადებაზე შეთანხმების შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭომ და დირექტორატმა აქციონერთა საერთო კრებას უნდა წარუდგინონ ერთობლივი წინადადება. თუ სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი ვერ შეთანხმდებიან მოგების განაწილების შესახებ წინადადებაზე, მაშინ დირექტორატმა და სამეთვალყურეო საბჭომ აქციონერთა საერთო კრებას უნდა წარუდგინონ დამოუკიდებელი წინადადებები. მოგების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს/დამტკიცდეს აქციონერთა საერთო კრების მიერ;

5.1.2. აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე დივიდენდების გადახდისთვის განკუთვნილი წმინდა მოგება უნდა განაწილდეს 5.2 მუხლით განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად;

5.2. დივიდენდების გადახდა:

5.2.1. აქციონერთა საერთო კრება ადგენს სააღრიცხვო თარიღს (შემდგომში “**დივიდენდის სააღრიცხვო თარიღი**”), რომელიც უნდა იყოს საერთო კრების ჩატარებიდან სულ მცირე 15 (თხუთმეტი) დღის შემდეგ და უნდა ემთხვეოდეს სამუშაო დღეს. მხოლოდ ის აქციონერები, რომლებიც დივიდენდის სააღრიცხვო თარიღის დღის ბოლოსთვის ფლობენ ბანკის აქციებს მიიღებენ დივიდენდს მათ მფლობელობაში არსებული აქციების წილის პროპორციულად;

5.2.2. იგივე აქციონერთა საერთო კრება ადგენს დივიდენდების გაცემის დაწყების თარიღს (შემდგომში “**დივიდენდის გაცემის დაწყების თარიღი**”). დივიდენდის გაცემის დაწყების თარიღი უნდა იყოს დივიდენდის სააღრიცხვო თარიღიდან სულ მცირე 15 (თხუთმეტი) დღის შემდეგ, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, შესაბამისი საერთო კრების ჩატარებიდან 2 (ორი) თვის განმავლობაში;

5.2.3. დივიდენდის სააღრიცხვო თარიღი და დივიდენდის გაცემის დაწყების თარიღი უნდა გამოქვეყნდეს ბეჭდვით ორგანოში შესაბამისი აქციონერთა საერთო კრების ჩატარებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში და იმ აქციონერებს, რომლებიც ფლობენ აქციათა სულ მცირე 1%-ს (ერთი პროცენტი) (ან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში უფრო მცირე პროცენტის მფლობელ აქციონერებსაც) უნდა ეცნობოთ დაზღვეული წერილით, პირადად, ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით იმ მისამართზე, რომელიც დაფიქსირებულია ბანკის მიერ მათ მონაცემებში.

## მუხლი 6. ბანკის მართვის სტრუქტურა

6.1. ბანკის შიდა მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს აქციონერთა საერთო კრება;

6.2. ბანკის საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ირჩევს აქციონერთა საერთო კრება;

6.3. ბანკის ყოველდღიური საქმიანობის მართვა და ადმინისტრირება ხორციელდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული დირექტორატის (დირექტორები) მიერ. დირექტორატს ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი.

## მუხლი 7. აქციონერთა საერთო კრება

7.1. აქციონერთა საერთო კრების მოწვევა:

7.1.1. აქციონერთა მორიგი საერთო კრება მოწვეული უნდა იქნას სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ყოველწლიურად, ბანკის საბუღალტრო დოკუმენტაციის წლიური გარე აუდიტის დასრულებიდან არაუგვიანეს ორი თვისა და, ნებისმიერ შემთხვევაში, წინა ფისკალური წლის დასრულებიდან ექვსი თვის განმავლობაში. ბანკის აქციონერთა რიგგარეშე კრება შესაძლებელია დროდადრო მოწვეულ იქნას ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორატის მიერ ან ბანკის აქციების სულ მცირე 5%-ის (ხუთი პროცენტი) მფლობელი აქციონერის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე წინამდებარე წესდების 4.2.6 მუხლის შესაბამისად;

7.1.2. აქციონერთა საერთო კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, თუ ბანკის ხმის უფლების მქონე აქციათა 75%-ზე (სამოცდათხუთმეტი) მეტის მფლობელი აქციონერი მიიღებს გადაწყვეტილებას აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგის რომელიმე საკითხთან დაკავშირებით. ასეთი გადაწყვეტილება აქციონერთა საერთო კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება კრების გადაწყვეტილებად. ასეთ შემთხვევაში დანარჩენ აქციონერებს ეგზავნებათ შეტყობინება ქვემოთ მოყვანილი 7.1.3 მუხლის შესაბამისად;

7.1.3. აქციონერთა საერთო კრების დრო, ადგილი და დღის წესრიგი გამოქვეყნდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ბეჭდვით ორგანოში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), კრების ჩატარებამდე სულ მცირე 20 (ოცი) დღით ადრე. აქციათა სულ მცირე 1%-ის (ერთი პროცენტი) მფლობელებს უნდა ეცნობოს საერთო კრების შესახებ დაზღვეული წერილით ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით იმ მისამართზე, რომელიც დაფიქსირებულია ბანკის მიერ მათ მონაცემებში. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზოგიერთ შემთხვევაში, კრების მოწვევის შესახებ შეტყობინება დაეგზავნებათ უფრო მცირე წილის მფლობელ აქციონერებსაც;

7.1.4. სამეთვალყურეო საბჭო ადგენს აქციონერთა საერთო კრების სააღრიცხვო თარიღს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით;

7.1.5. აქციონერთა საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია თუ შემდგარია კვორუმი. კვორუმი შემდგარია, თუ კრებას ესწრება ან წარმოდგენილია ხმის უფლების მქონე აქციონერთა ნახევარზე მეტი. თუ აქციონერთა საერთო კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, ზემოთ მოყვანილი 7.1.3 მუხლის პროცედურების დაცვით სამეთვალყურეო საბჭო დამტკიცებულ ვადაში მოიწვევს ახალ კრებას იგივე დღის წესრიგით. აქციონერთა საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება, თუ მას ესწრება ხმის უფლების მქონე აქციონერთა სულ მცირე 25% (ოცდახუთი პროცენტი) ან მათი წარმომადგენელი (თუ წარმომადგენლები). თუ აქციონერთა საერთო კრება კვლავ არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, ზემოთ მოყვანილი 7.1.3 მუხლის პროცედურების დაცვით სამეთვალყურეო საბჭო დამტკიცებულ ვადაში მოიწვევს ახალ კრებას იგივე დღის წესრიგით. ასეთი კრება გადაწყვეტილებაუნარიანია დამსწრე (ან წარმოდგენილი) ხმის უფლების მქონე აქციონერთა რაოდენობის მიუხედავად.

7.1.6. აქციონერთა საერთო კრებას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ან მისი არყოფნის შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერი წევრი როგორც ამას განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭო. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არყოფნის შემთხვევაში აქციონერთა საერთო კრებას ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი ან მისი შემცვლელი. გენერალური დირექტორის ან მისი შემცვლელის არყოფნისას აქციონერთა საერთო კრებას ხელმძღვანელობს ბანკის ერთ-ერთი დირექტორი, როგორც ამას განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭო. ბანკის დირექტორების არყოფნის შემთხვევაში აქციონერთა საერთო კრებას ხელმძღვანელობს პირი, რომელსაც აირჩევს დამსწრე ხმის უფლების მქონე აქციონერთა უბრალო უმრავლესობა;

7.1.7. აქციონერთა საერთო კრების ოქმს ადგენს მდივანი, რომელსაც ირჩევს დამსწრე ხმის უფლების მქონე აქციონერთა უბრალო უმრავლესობა; ოქმს ხელს აწერენ აქციონერთა საერთო კრების თავმჯდომარე და კრების მდივანი. აქციონერთა საერთო კრების ოქმის ნოტარიულად დამოწმება მოხდება მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როდესაც ასეთი ოქმის ნოტარიული დამოწმება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით არის გათვალისწინებული. აქციონერთა საერთო კრების ოქმი ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი აქციონერისთვის, ბანკის დირექტორატისთვის, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და მათი წარმომადგენლებისთვის.

7.2. აქციონერთა საერთო კრებაზე წარმომადგენლობა:

7.2.1. სააღრიცხვო თარიღისთვის აქციონერთა რეესტრში რეგისტრირებულ ყველა აქციონერს უფლება აქვს დაესწროს აქციონერთა საერთო კრებას და მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში;

7.2.2. აქციონერი უფლებამოსილია აქციონერთა საერთო კრებაზე თავისი ხმის უფლება გამოიყენოს წარმომადგენლის მეშვეობით სათანადოდ მომზადებული და ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე. ნომინალური მფლობელების მიერ აქციონერების წარმომადგენლობა (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს ბროკერებსა და დილერებს) რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და აქტებით. აქციონერთა წარმომადგენლობა საერთო კრებაზე შესაძლოა ასევე განხორციელდეს ნებისმიერი სხვა სახით, რაც არ არის აკრძალული საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

7.3. აქციონერთა საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე ან/და სხვა ისეთ საკითხებზე, რომელიც გათვალისწინებულია ბანკის წესდებით ან/და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით:

7.3.1. ბანკის წესდების მიღება, დამტკიცება და შეცვლა;

7.3.2. ბანკის კონსოლიდაცია, შეერთება, შერწყმა ან მიერთება სხვა იურიდიულ პირთან ან სხვა იურიდიული პირის ბანკთან მიერთება;

7.3.3. ბანკის გამოყოფა, გაყოფა, ლიკვიდაცია, რეორგანიზაცია ან გარდაქმნა;

7.3.4. კაპიტალის გაზრდისას აქციონერის მიერ აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლების სრულად ან ნაწილობრივ გაუქმება;

7.3.5. მოგების გამოყენების შესახებ სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორატის წინადადების მიღება ან უარყოფა, ან როდესაც ეს ორგანოები ვერ იძლევიან ერთიან წინადადებას, გადაწყვეტილების მიღება წმინდა მოგების გამოყენების შესახებ;

7.3.6. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა და გამოწვევა;

7.3.7. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის ხელშეკრულების პირობების განსაზღვრა, შეცვლა ან გაუქმება, მათი ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტა;

7.3.8. სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის ანგარიშების დამტკიცება ან უარყოფა;

7.3.9. გადაწყვეტილებების მიღება სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორების წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ, ამ პროცესისათვის წარმომადგენლის დანიშვნის ჩათვლით;

7.3.10. გადაწყვეტილებების მიღება ბანკის ისეთი ქონების შეძენის, გასხვისების, გადაცემის ან გაცვლის (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) ან სხვაგვარად უფლებრივად დატვირთვის შესახებ, რომლის ღირებულებაც აღემატება ბანკის საკუთარი კაპიტალის (როგორც ეს ქვემოთ არის განმარტებული) 10%-ს (ათი პროცენტი);

7.3.11. წლიური ანგარიშის დამტკიცება;

7.3.12. დამოუკიდებელი აუდიტორის შერჩევა, დანიშვნა და განთავისუფლება;

7.3.13. ბანკის ნებადართული კაპიტალის გაზრდა ან/და შემცირება.

7.4. ყველა სხვა საკითხზე, რაც სხვაგვარად არ არის დარეგულირებული ბანკის წესდებით, თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში, გადაწყვეტილებებს იღებენ სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი;

7.5. 7.3.2 და 7.3.3. მუხლებში გათვალისწინებული გადაწყვეტილებების მისაღებად საჭიროა ხმის უფლების მქონე დამსწრე აქციონერთა ხმების სულ მცირე 75% (სამოცდათხუთმეტი პროცენტი). აქციონერთა საერთო კრების უფლებამოსილების ფარგლებში მისაღები ყველა სხვა გადაწყვეტილების მიღება მოხდება ხმის უფლების მქონე დამსწრე აქციონერთა უბრალო უმრავლესობით.

**მუხლი 8. სამეთვალყურეო საბჭო**

- 8.1. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობა არ შეიძლება იყოს 3 (სამი) წევრზე ნაკლები. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ზუსტი რაოდენობა დროდადრო განისაზღვრება აქციონერთა საერთო კრების მიერ. სამეთვალყურეო საბჭო და თითოეული ხმის უფლების მქონე აქციონერი უფლებამოსილია დაასახელოს კანდიდატ(ებ)ი სამეთვალყურეო საბჭოში ასარჩევად;
- 8.2. სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრი აირჩევა ოთხი წლის ვადით, თუმცა, თუ წევრის უფლებამოსილების ვადა ამოწურება ახალი წევრის არჩევამდე, მისი უფლებამოსილება გაგრძელდება მომდევნო საერთო კრების ჩატარებამდე;
- 8.3. სამეთვალყურეო საბჭოს თითოეულ წევრს უფლება აქვს გადადგეს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის თანამდებობიდან სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისთვის გადადგომამდე სულ მცირე ოთხი კვირით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე (სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს შეუძლია გადადგეს თანამდებობიდან სამეთვალყურეო საბჭოს წევრისთვის სულ მცირე ოთხი კვირით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე);
- 8.4. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის გადადგომის/გაწვევის შემთხვევაში, თუ ახალი წევრის დანიშვნა მოთხოვნილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ან წევრის არ დანიშვნა საფრთხეს უქმნის სამეთვალყურეო საბჭოს ან კომიტეტ(ებ)ის ნორმალურ ფუნქციონირებას, სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრი არჩეულ უნდა იქნას გადადგომიდან/გაწვევიდან არა უგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში;
- 8.5. სამეთვალყურეო საბჭოს წევრად არ შეიძლება არჩეულ იქნას და სამეთვალყურეო საბჭოდან გამოწვეულ უნდა იქნას პირი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრისთვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;
- 8.6. სამეთვალყურეო საბჭო ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს. თავმჯდომარე (ან მისი არყოფნის შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს უფროსი დამოუკიდებელი წევრი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)) იწვევს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს და განსაზღვრავს სხდომის დღის წესრიგს. ნებისმიერ წევრს აქვს უფლება დღის წესრიგში დაამატოს საკითხი ან მოითხოვოს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ჩატარება;
- 8.7. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები უნდა გაიმართოს სულ მცირე კვარტალში ერთხელ მაინც, ბანკის იურიდიულ მისამართზე ან სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერი წევრის მოთხოვნით ნებისმიერ სხვა ადგილას. წერილობითი შეტყობინება შესაბამის დღის წესრიგთან ერთად უნდა დაიგზავნოს სხდომის მოწვევის სავარაუდო თარიღამდე სულ მცირე რვა დღით ადრე. ყველა სხვა წევრის თანხმობის შემთხვევაში, თავმჯდომარეს (თავად ან რომელიმე წევრის მოთხოვნის საფუძველზე) უფრო მოკლე ვადაში შეუძლია მოიწვიოს სხდომა ზეპირი შეტყობინებით ან სხვაგვარად. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შეიძლება წარმოდგენილი იყვნენ საბჭოს სხვა წევრების მიერ. ერთ წევრს შეუძლია წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სხვა წევრი;
- 8.8. სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილება უნარიანია თუ შემდგარია კვორუმი. კვორუმი შემდგარია, თუ სხდომას ესწრება ან მასზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი. თუ სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრულ საკითხზე, ინტერესთა კონფლიქტიდან გამომდინარე, სამეთვალყურეო საბჭოს წევრს არ აქვს უფლება, მიიღოს მონაწილეობა კენჭისყრაში, კვორუმი შემდგარია, თუ სხდომას ესწრება ინტერესთა კონფლიქტის არ მქონე სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი. თუ სამეთვალყურეო საბჭო არ არის გადაწყვეტილება უნარიანი, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს უფლება აქვს მოიწვიოს ახალი სხდომა 8 (რვა) დღის ვადაში. ახალი სხდომა გადაწყვეტილება უნარიანია, თუ მას ესწრება ან მასზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა არანაკლებ 50%-ისა. თუ სამეთვალყურეო საბჭო კვლავ არ არის გადაწყვეტილება უნარიანი, მაშინ სამეთვალყურეო საბჭოს უწყდება უფლებამოსილება მიიღოს გადაწყვეტილებები დღის წესრიგში მოყვანილ საკითხებთან მიმართებაში და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე იწვევს აქციონერთა საერთო კრებას, რათა კრებამ გადაწყვიტოს დღის წესრიგში მოყვანილი საკითხები. სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს სხდომაზე დამსწრე ან წარმოდგენილი სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ხმათა უბრალო უმრავლესობით;
- 8.9. სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერი სხდომის ჩატარება დასაშვებია სატელეფონო, ვიდეო კონფერენციის ან/და ელექტრონული კომუნიკაციის სხვა საშუალებით;
- 8.10. სხდომის ჩატარებისა და შესაბამისი გადაწყვეტილებ(ებ)ის მიღების შემდეგ დგება სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი. ოქმი დაეგზავნება სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრს და დამტკიცდება (i) შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო რაოდენობის სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა წერილობითი, სატელეფონო, ან ელექტრონული კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალებით გამოხატული თანხმობით, ან (ii) მომდევნო სხდომაზე. ოქმში მითითებული უნდა იყოს სხდომის ჩატარების ადგილი და დრო, დამსწრე წევრთა სია, დღის წესრიგი, სხდომაზე წარმართული განხილვის მოკლე შინაარსი და შესაბამისი გადაწყვეტილებები. ოქმი ნოტარიულად დამოწმდება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აუცილებელია ოქმის ნოტარიულად დამოწმება. მიუხედავად წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული სხდომის ოქმის დამტკიცების წესისა, სხდომის თავმჯდომარისა და სხდომის მდივნის მიერ ხელმოწერილი ოქმი ითვლება სავალდებულო ძალის მქონედ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მისი ფორმა ან/და მიღებული გადაწყვეტილებების სამართლებრივი ძალა არ შეიძლება სადავო გახდეს მესამე მხარის მიერ. წესდებით ან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით



სამეთვალყურეო საბჭოსთვის მიკუთვნებულ საკითხ(ებ)ზე გადაწყვეტილების მიღებისას სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია შესაბამისი სხდომის ოქმის საფუძველზე დირექტორატის ნებისმიერი წევრი განსაზღვროს კონკრეტული გადაწყვეტილების შესრულებაზე პასუხისმგებელ პირად, დაადგინოს მისი უფლებამოსილების ფარგლები მიღებულ გადაწყვეტილებასთან მიმართებაში ან/და საკუთარი შეხედულებისამებრ მიანიჭოს მას მიღებული გადაწყვეტილების შესასრულებლად საჭირო ნებისმიერი და ყველა ქმედების განხორციელების უფლებამოსილება;

8.11. სამეთვალყურეო საბჭოს თითოეულ წევრს გააჩნია ერთი ხმა. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს არ აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს სამეთვალყურეო საბჭოს განხილვაში ან ხმა მისცეს დღის წესრიგის ისეთ საკითხს, რომელთან დაკავშირებითაც ასეთ წევრს გააჩნია ინტერესთა შეუთავსებლობა (კონფლიქტი). იმ შემთხვევაში, თუ სხდომაში მონაწილეობას ვერ ღებულობს თავმჯდომარე, სამეთვალყურეო საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობს სამეთვალყურეო საბჭოს უფროსი დამოუკიდებელი წევრი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

8.12. სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია ხმათა უმრავლესობით მიიღოს გადაწყვეტილება კომიტეტების შექმნის თაობაზე. ასეთი კომიტეტების შემადგენლობა და მათი ფუნქციები განისაზღვრება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და შესაბამისი რეგულაციებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით. კომიტეტები სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგენენ თავიანთ დასკვნებსა და რეკომენდაციებს;

8.13. სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანები და კომპეტენცია:

8.13.1. სამეთვალყურეო საბჭოს შიდა ორგანიზებასთან დაკავშირებული დებულებების ან მსგავსი წესების მიღება, გაუქმება და შეცვლა; აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების ელექტრონულად ჩატარების შესახებ დებულებების ან მსგავსი წესების მიღება, გაუქმება და შეცვლა;

8.13.2. ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურის განსაზღვრა, დამტკიცება და შეცვლა;

8.13.3. საბუღალტრო აღრიცხვის თარიღის ან საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის ან პრაქტიკის მიღება ან შეცვლა, კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა;

8.13.4. სამეთვალყურეო საბჭოსთან არსებული კომიტეტების დებულებების, მათი საქმიანობის მარეგულირებელი სხვა დოკუმენტების და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას მიკუთვნებული პოლიტიკების დამტკიცება და ცვლილება;

8.13.5. ბანკის კორპორაციული მართვის და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და შესაბამისი რეგულაციებით კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის ზედამხედველობა;

8.13.6. დირექტორატის საქმიანობის ზედამხედველობა;

8.13.7. დირექტორატის წევრების დანიშვნა და გათავისუფლება, მათი უფლებამოსილების სფეროების განსაზღვრის ჩათვლით;

8.13.8. დირექტორატისთვის ფინანსური, სოციალური, ეკონომიკური და დასაქმების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ ინსტრუქციების მიცემა;

8.13.9. ბანკის ფინანსური დოკუმენტაციის, საბუღალტრო აღრიცხვის წიგნებისა და აქტივების შემოწმება, რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს ნაღდი ფულის, ფასიანი ქაღალდების და ბანკის სხვა აქტივების შემოწმებას პირადად, ცალკეული წევრების ან მოწვეული ექსპერტის მეშვეობით (ასეთი ექსპერტის დაქირავების ხარჯს გაიღებს ბანკი);

8.13.10. დირექტორატისგან ბანკის საქმიანობის შესახებ ანგარიშის (შვილობილ და აფილირებულ საწარმოებთან საქმიანობის ჩათვლით) მოთხოვნა და შიდა აუდიტის ან გარე შემოწმების შესახებ ინფორმაციის განხილვა;

8.13.11. აქციონერთა რიგგარეშე კრების მოწვევა, თუ აღნიშნულს მოითხოვს ბანკის ინტერესები;

8.13.12. წლიური ანგარიშისა და დირექტორატის მიერ მიწოდებული მოგების განაწილების წინადადების განხილვა;

8.13.13. სასამართლო, საარბიტრაჟო ან სამედიატო პროცესის დაწყება, წარმართვა ან მასზე მორიგება (იმ შემთხვევების გარდა, როდესაც დავა ეხება საქმიანობის წარმართვის ჩვეულებრივი პროცესის ფარგლებში სესხის თანხის ამოღებას ან უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას ან ნებისმიერ სხვა ისეთ სასწრაფო განცხადებას, დოკუმენტს ან ქმედებას, რომელიც ბანკის ინტერესებშია და როდესაც სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობის მიღება გონივრული განსჯის ფარგლებში არის შეუძლებელი), როდესაც სადავო თანხა აღემატება 500,000 აშშ დოლარს ან მის შესაბამის ექვივალენტს სხვა ვალუტაში, ან საქმე ეხება სისხლის სამართლის დანაშაულს ან ბანკთან დაკავშირებულ მმართველ პოზიციაზე მყოფ პირს, როგორც არის ბანკის დირექტორი;

8.13.14. წლიური ბიუჯეტის დამტკიცება;

8.13.15. აუდიტის კომიტეტისა და სამეთვალყურეო საბჭოსთან არსებული სხვა კომიტეტების წევრების დანიშვნა და გათავისუფლება;

8.13.16. დირექტორატის წევრთა რაოდენობის განსაზღვრა, იმ ზოგადი პრინციპის გათვალისწინებით, რომ დირექტორატი არ უნდა შედგებოდეს იმაზე მეტი წევრისგან, რამდენიც აუცილებელია მისი ნორმალური ფუნქციონირებისათვის;

8.13.17. დირექტორატის წევრ(ებ)თან გასაფორმებელი ხელშეკრულების პირობების განსაზღვრა, შეცვლა ან გაუქმება, რაც მოიცავს დირექტორებისთვის ანაზღაურების და/ან დამატებითი შეღავათების განსაზღვრას;

8.13.18. ბანკის დამოუკიდებელი რეგისტრატორის შერჩევა, შენარჩუნება ან შეცვლა;

8.13.19. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და/ან წინამდებარე წესდებით სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტა.

8.14. დირექტორატის ფუნქციები არ შეიძლება გადაეცეს სამეთვალყურეო საბჭოს;

8.15. ბანკის შემდეგი საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით:

- 8.15.1. ბანკის ნებისმიერ მსხვილ შვილობილ კომპანიაში ხმის უფლების გამოყენება, მათ შორის ბანკის ნებისმიერ მსხვილ შვილობილ კომპანიაში მნიშვნელოვანი აღმასრულებელი თანამდებობის პირების დანიშვნის, კანდიდატურის წარდგენის ან გათავისუფლების საკითხის გადაწყვეტა. მსხვილი შვილობილი კომპანია გულისხმობს ისეთ შვილობილ კომპანიას რომელშიც ბანკი აკონტროლებს ან საკუთრების უფლებით ფლობს წილის ან მსგავსი კონტროლის უფლების 50%-ზე მეტს ან/და რომელშიც ბანკის ინვესტიცია აღემატება ხმის უფლების გამოყენების დროისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მიხედვით ბანკის უახლესი კონსოლიდირებული აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებით განსაზღვრული საკუთარი კაპიტალის (Total Equity) (შემდგომში „საკუთარი კაპიტალი“ ან “Total Equity”) 5%-ს. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, წესდებაში ტერმინი „საკუთარი კაპიტალი“ (Total Equity) განიმარტება როგორც ბანკის აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ;
- 8.15.2. ნებისმიერ პირთან რაიმე სახის ამხანაგობის ან ერთობლივი საწარმოს დაარსება;
- 8.15.3. ნებისმიერი სახის პოლიტიკური შენატანის ან შეწირულობის გაკეთება ან/და სხვა ნებისმიერი სახით დაფინანსება (მათ შორის, საკრედიტო პროდუქტით);
- 8.15.4. ახალი შვილობილი კომპანიის ან საწარმოს შექმნა ან დაფუძნება;
- 8.15.5. ნებისმიერი კომპანიის აქციების ან/და წილობრივი მონაწილეობის შექმნა ან/და გასხვისება ან ნებისმიერი სახის ინსტრუმენტის შექმნა ან/და გასხვისება, რომელიც შეიძლება დაკონვერტირდეს ნებისმიერი კომპანიის აქციებში ან/და წილობრივ მონაწილეობაში (ერთი გარიგებით ან გარიგებათა ერთობლიობით), რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს ნებისმიერი ისეთი აქციის ან საბაზრო ვაჭრობისთვის განკუთვნილი ფასიანი ქაღალდის შექმნას ან/და გასხვისებას (გარდა რეპო გარიგების ფარგლებში განხორციელებული შექმნისა/გასხვისებისა), რომლის ჯამური ღირებულება აღემატება 1,000,000 აშშ დოლარს ან მის შესაბამის ექვივალენტს სხვა ვალუტაში;
- 8.15.6. ნებისმიერი სახის გადაწყვეტილება, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის ბანკის ან მისი საქმიანობის არსს ან სახეს, რაც მოიცავს მისი ქონების ან აქტივების მთლიანად, მეტწილად მთლიანად ან მნიშვნელოვანი ნაწილის გადაცემას ერთი ან რამდენიმე დაკავშირებული გარიგების მეშვეობით;
- 8.15.7. ბანკის მიერ სესხის გადახდაზე მორატორიუმის შემოღება ან იმავე სამართლებრივი შედეგის მქონე ნებისმიერი სხვა მსგავსი მოქმედების განხორციელება, რაც გულისხმობს კრედიტორთა მოთხოვნებისაგან დაცვის მექანიზმს;
- 8.15.8. სხვა იურიდიულ პირთან ან კომპანიასთან გრძელვადიანი (ერთ წელზე მეტი; ან ერთმანეთის მომდევნო პერიოდების ერთობლიობა, რომელიც ჯამში შეიძლება ერთ წელს აღემატებოდეს) თანამშრომლობის გაფორმება ან გაუქმება, თუ თანამშრომლობის გაფორმება ან მისი გაუქმება ბანკისთვის წარმოშობს წელიწადში 1,000,000 აშშ დოლარზე, ან სხვა ვალუტაში მის ექვივალენტზე მეტი ჯამური ოდენობის თანხის მიღების უფლებას ან აღნიშნული ოდენობის თანხის გადახდის ვალდებულებას;
- 8.15.9. სესხის აღება ან/და სესხის ძირითადი პირობების (სესხის თანხა, მოქმედების ვადა, საპროცენტო განაკვეთი, მიზნობრიობა, უზრუნველყოფა) შეცვლა, თუ აღნიშნული სესხის ჯამური ოდენობა აღემატება ბანკის საკუთარი კაპიტალის 5%-ს, ან/და აღნიშნული ოდენობის ნებისმიერი ვალდებულების აღება (ერთი გარიგებით ან გარიგებათა ერთობლიობით), გარდა სახაზინო ოპერაციებისა;
- 8.15.10. ბალანსზე რიცხული სესხების ფაქტორინგი, რომელთა წლიური ღირებულება აღემატება ბანკის საკუთარი კაპიტალის 5%-ს ან ბანკის მიერ იმავე ჯამური ოდენობის ნებისმიერი სახის მოთხოვნის უფლების დათმობა;
- 8.15.11. გარდა წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ნებისმიერი სახის ხელშეკრულების გაფორმება (მათ შორის ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, ნებისმიერი სახის აქტივის შექმნის/გასხვისების, ოჯარის, მომსახურების ან/და ნებისმიერი სხვა ტიპის ხელშეკრულება) რომლის ღირებულებაც აღემატება 1,000,000 აშშ დოლარს ან მის ექვივალენტს სხვა ვალუტაში ან/და ნებისმიერი ხელშეკრულების გაფორმება იმ პირთან, რომელთანაც იმავე კალენდარული წლის განმავლობაში ბანკს გაფორმებული აქვს ჯამურად 1,000,000 აშშ დოლარზე ან სხვა ვალუტაში მის ექვივალენტზე მეტი ღირებულების ხელშეკრულებები ან/და რომლის მიმართ გაწეული აქვს იმავე ოდენობის ხარჯი. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, წინამდებარე პუნქტი არ გავრცელდება ჩვეულებრივი საბანკო საქმიანობის ფარგლებში განხორციელებულ ოპერაციებზე, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს საკრედიტო, სახაზინო (ლიკვიდურობის და უცხოური ვალუტის მართვის ოპერაციები), დოკუმენტურ და სადეპოზიტო ოპერაციებს;
- 8.15.12. გარდა სახაზინო ოპერაციების ფარგლებში განხორციელებული ტრანზაქციებისა, ბანკის ნებისმიერი აქტივის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენება (ერთი ან რამდენიმე დაკავშირებული გარიგების მეშვეობით), რომლის საბალანსო ღირებულებაც აღემატება ბანკის საკუთარი კაპიტალის 5%-ს ან/და ნებისმიერი სახის ისეთი ხელშეკრულების გაფორმება, რომლით განსაზღვრული ვალდებულება აღემატება ბანკის საკუთარი კაპიტალის 5%-ს და რომლის საფუძველზეც ბანკი იკისრებს თავდების, გარანტის, ერთობლივი ან დამოუკიდებელი მოვალის ფუნქციას ან სხვა მსგავს ვალდებულებას;
- 8.15.13. ბანკის ან, გარემოებებიდან გამომდინარე, საბანკო საქმიანობაში ჩართული ბანკის შვილობილი კომპანიის მიერ გაცემული საკრედიტო პროდუქტების (მათ შორის საბანკო კრედიტი, სინდიცირებული კრედიტი, საკრედიტო ხაზი, ოვერდრაფტი, საბანკო გარანტია, აკრედიტივი, ფაქტორინგი და ნებისმიერი სხვა სახის საკრედიტო ან/და დოკუმენტურ ოპერაციებთან დაკავშირებული პროდუქტი) ძირითადი პარამეტრების, როგორც არის მსესხებელი, საპროცენტო სარგებელი, ვადა და უზრუნველყოფის საშუალებების შესაბამისობა, დამტკიცება (i) ბანკის ახალი კლიენტებისთვის, როდესაც შესაბამისი საკრედიტო პროდუქტ(ებ)იდან გამომდინარე წმინდა საკრედიტო დავალიანების მოცულობა აღემატება „ზღვრულ ოდენობას“ (როგორც ეს ქვემოთ არის განმარტებული) ან (ii) ბანკის არსებული კლიენტებისთვის, საკრედიტო პროდუქტის გაცემის ან/და ვადის გაზრდის შედეგად საკრედიტო ვალდებულების გაზრდის თითოეულ შემთხვევაზე, როდესაც ბანკის წინაშე ასეთი კლიენტ(ებ)ის წმინდა საკრედიტო დავალიანების მოცულობა აჭარბებს

„ზღვრულ ოდენობას“; შესაბამისი თანხმობა საჭიროა თითოეულ ზემოაღნიშნულ (i) და (ii) შემთხვევაში, მიუხედავად იმისა ასეთი ახალი თუ გაზრდილი საკრედიტო პროდუქტი გაცემულია ერთ მსესხებელზე თუ რამდენიმე დაკავშირებულ მსესხებელზე ან/და მსესხებელთა ჯგუფზე. „ზღვრული ოდენობა“ განისაზღვრება ბანკის საკუთარი კაპიტალის 5%-ის ოდენობით ყველა სახის უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი საკრედიტო პროდუქტის ჯამურ ოდენობასთან მიმართებაში (გარდა დეპოზიტით ან/და ფულადი სახსრებით უზრუნველყოფილი საკრედიტო პროდუქტებისა, რომელთა ოდენობა გამოირიცხება „ზღვრული ოდენობიდან“ და შესაბამისად, რომელთა გაცემა არ საჭიროებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებას, მიუხედავად აღნიშნული ტიპის საკრედიტო პროდუქტების ერთიანი ან ჯამური ოდენობისა). ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ საკრედიტო პროდუქტი ნაწილობრივ არის უზრუნველყოფილი დეპოზიტით ან/და ფულადი სახსრებით, საკრედიტო პროდუქტის ასეთი სახის უზრუნველყოფილი ნაწილი გამოირიცხება „ზღვრული ოდენობის“ გამოთვლიდან;

8.15.14. ბანკის არსებულ კლიენტებზე გაცემული საკრედიტო პროდუქტების უზრუნველყოფის ცვლილების დამტკიცება, იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის წმინდა საკრედიტო ვალდებულება აღემატება „ზღვრულ ოდენობას“ და ცვლილების შედეგად წარმოდგენილი უზრუნველყოფის ღირებულება ნაკლებია არსებულ უზრუნველყოფაზე. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, სესხის უზრუნველყოფის სახით წარმოდგენილი ფულადი სახსრების/დეპოზიტის სხვა სახის უზრუნველყოფით ჩანაცვლების შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა საჭიროა მიუხედავად წარმოდგენილი უზრუნველყოფის ღირებულებისა, თუ აღნიშნული ჩანაცვლების შედეგად სესხის ის ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფილი არ არის ფულადი სახსრებით/დეპოზიტით, აღემატება „ზღვრულ ოდენობას“;

8.15.15. ბანკის სააქციო კაპიტალის გაყიდვა ან რეკაპიტალიზაცია და ნებისმიერი აქციის ნებისმიერი გზით გადაცემის ან უფლებრივად დატვირთვის დამტკიცება (მათ შორის, ნებისმიერი აქციის ან სააქციო კაპიტალთან დაკავშირებული უფლების შექმნაზე უფლებამოსილების მინიჭება), იმ შემთხვევების გარდა, რომლებიც გათვალისწინებულია თანამშრომელთა წახალისების გეგმით;

8.15.16. სააქციო კაპიტალის ან აქციებთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტის საჯარო შეთავაზების განხორციელება, სახაზინო აქციების გაყიდვისა და ბანკის აქციებზე ჩვეულებრივი საბაზრო გარიგებების დადების გარდა (მიუხედავად იმისა განხორციელდება ეს პირდაპირ ბანკის მიერ თუ საბროკერო შეილობილი კომპანიის მეშვეობით);

8.15.17. ბანკის აქციების გამოსყიდვა, აქციების იძულებით გამოსყიდვის ჩათვლით;

8.16. სამეთვალყურეო საბჭო ან/და მისი წევრები უფლებამოსილი არიან, აქციონერთა კრების შემდგომში დამატებითი თანხმობის გარეშე, საკუთარი შეხედულებისამებრ, მოახდინონ საკუთარი უფლებამოსილებების დელეგირება დირექტორატზე ან მის ცალკეულ წევრ(ებ)ზე, თუ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას ან/და რეგულაციებს.

## მუხლი 9. დირექტორატი

- 9.1. ბანკის ყოველდღიურ საქმიანობას ახორციელებს დირექტორატი, რომლის წევრებსაც ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო;
- 9.2. დირექტორატი შედგება გენერალური დირექტორისა და დირექტორებისგან. გენერალურ დირექტორს და თითოეულ დირექტორს ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო;
- 9.3. დირექტორატის წევრად არ შეიძლება დაინიშნოს ან დირექტორატის წევრობიდან უნდა გათავისუფლდეს პირი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ბანკის დირექტორისთვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
- 9.4. დირექტორატი წესდებით ან/და საქართველოს კანონმდებლობით მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს დირექტორატის შემადგენლობის ნახევარზე მეტით. დირექტორატის მიერ მიღებულ გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერენ დირექტორატის ის წევრები, რომლებმაც მხარი დაუჭირეს შესაბამის საკითხ(ებ)ზე გადაწყვეტილების მიღებას;
- 9.5. დირექტორატი საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში:
  - 9.5.1. წარმართავს და ახორციელებს ბანკის ყოველდღიურ საქმიანობას;
  - 9.5.2. ბანკის მომგებიანობისა და სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით ახორციელებს ბანკის ოპერატიული ხელმძღვანელობის ორგანიზებას;
  - 9.5.3. წინასწარ განიხილავს ბანკის აქციონერთა საერთო კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის დღის წესრიგში შესატან ყველა საკითხს, ახდენს სთანადო ინფორმაციის სრულად მოძიებას, ამზადებს წინადადებებსა და რეკომენდაციებს დღის წესრიგის საკითხებთან მიმართებაში;
  - 9.5.4. ფისკალური წლის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში ამზადებს და სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს მიმდინარე წლის ბიზნეს გეგმას. ასეთი ბიზნეს გეგმა უნდა მოიცავდეს ბიუჯეტს, მოგება-ზარალის პროგნოზსა და ბანკის საინვესტიციო გეგმებს;
  - 9.5.5. წარმართავს ბანკის განვითარების სტრატეგიას, კოორდინაციას და ზედამხედველობას უწევს ბიზნეს მიმართულებების, საბანკო ქსელის, ინფორმაციული უსაფრთხოების, საბანკო ინფრასტრუქტურისა და სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას;
  - 9.5.6. უზრუნველყოფს და ზედამხედველობას უწევს დაკრედიტებას, ანგარიშსწორებას, დაფინანსებას, ნადდი ფულით მომსახურებას, ბანკის ფულადი სახსრებისა და ძვირფასეულობის დაცვას, აღრიცხვასა და ანგარიშგებას, გაცემული სესხების

სხვადასხვა კატეგორიებიდან კლასიფიცირებას, ბალანსიდან ჩამოწერას, გარე საბალანსოზე გადატანას, გარე საბალანსო უწყისიდან მოხსნას, შიდა კონტროლსა და აღრიცხვას; უზრუნველყოფს ბანკის მიერ კლიენტებისთვის სათანადო მომსახურების გაწევას და ზედამხედველობას უწევს ბანკის სხვა ძირითად საქმიანობას;

9.5.7. სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ორგანიზაციული სტრუქტურის ფარგლებში ახორციელებს ორგანიზაციულ ცვლილებებს, მათ შორის ახალი სტრუქტურული ერთეულის შექმნას, არსებულის გაუქმებას, რეორგანიზაციას, მიერთებას ან/და გამოყოფას, განსაზღვრავს მათ ქვემდებარეობას, შესაბამის ფუნქციებს, უფლებებსა და მოვალეობებს;

9.5.8. ბანკის ყოველდღიური მართვიდან გამომდინარე საჭიროებების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს დირექტორატთან დროებითი ან/და მუდმივმოქმედი კომიტეტ(ებ)ის ჩამოყალიბებას/ლიკვიდაციას, განსაზღვრავს მათ შესაბამის ფუნქციებს, უფლებებსა და მოვალეობებს და უზრუნველყოფს მათი საქმიანობის ზედამხედველობას;

9.5.9. უზრუნველყოფს და ზედამხედველობას უწევს ბანკის ფილიალებისა და სერვის-ცენტრების გახსნა-დახურვას და მათ ფუნქციონირებას; უზრუნველყოფს ფილიალების, სერვის-ცენტრების და სხვა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელი პირების მიერ თავიანთი ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებას;

9.5.10. განიხილავს შიდა აუდიტისგან ან გარე შემოწმებით მიღებულ ინფორმაციას, ასევე ფილიალებისა და სერვის-ცენტრების ხელმძღვანელების მიერ მიწოდებულ ანგარიშებს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს ზემოთ ჩამოთვლილ ინფორმაციაზე დაყრდნობით;

9.5.11. უზრუნველყოფს აქციონერთა საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას;

9.5.12. შეიმუშავებს პოლიტიკებისა და სხვა შესაბამისი დოკუმენტების პროექტებს, რომლებიც ექვემდებარება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებას, უზრუნველყოფს აღნიშნული პოლიტიკებისა და დოკუმენტების შესრულებას და რეკომენდაციებს აძლევს სამეთვალყურეო საბჭოს აღნიშნულ დოკუმენტებში განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებით;

9.5.13. შეიმუშავებს, ამტკიცებს და საჭიროების შემთხვევაში, საკუთარი შეხედულებისამებრ ცვლის კორპორატიულ სახელმძღვანელოს, შინაგანაწესს;

9.5.14. ამტკიცებს ბანკის პროდუქტების ან/და მომსახურებების პირობებს, მათ შესაბამის ცვლილებებს;

9.5.15. იღებს გადაწყვეტილებას სხვადასხვა გაერთიანებებში, ასოციაციებში (მათ შორის არასამეწარმეო/არაკომერციული იურიდიულ პირები) ბანკის გაწევრიანების ან/და აღნიშნული გაერთიანების წევრობაზე უარის თქმის შესახებ;

9.5.16. იღებს გადაწყვეტილებას ბანკის ნებისმიერ შვილობილ კომპანიაში (წესდების 8.15.1. პუნქტით განსაზღვრული მსხვილი შვილობილი საწარმოს გარდა) ხმის უფლების გამოყენების, მათ შორის კანდიდატურის წარდგენის, მნიშვნელოვანი აღმასრულებელი თანამდებობის პირების დანიშვნის ან/და გათავისუფლების შესახებ;

9.5.17. ამტკიცებს შვილობილ კომპანიის ბიუჯეტს და საჭიროების შემთხვევაში შეაქვს მასში შუალედური შესწორება;

9.5.18. იღებს გადაწყვეტილებას ბანკში და ბანკის შვილობილ კომპანიაში დასაქმების ზოგადი პირობების (რომელიც ზოგადად შეეხება ყველა თანამშრომელს) შეცვლის შესახებ, რაც მოიცავს თანამშრომელთა წახალისების ნებისმიერ გეგმას და თანამშრომელთა დასაქმების ახალ პირობებსა და წახალისების ახალი გეგმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას ან მათ დანერგვას, თუ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით ან/და საზედამხედველო რეგულაციებით აღნიშნული არ მიეკუთვნება სამეთვალყურეო საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტის უფლებამოსილებას;

9.5.19. სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული საკრედიტო რესურსის მინიმალური და მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და წესდების 8.15.13 პუნქტის გათვალისწინებით, ამტკიცებს ბანკის ან, გარემოებიდან გამომდინარე, საბანკო საქმიანობაში ჩართული ბანკის შვილობილი კომპანიის მიერ გაცემული ნებისმიერი სახის საკრედიტო პროდუქტის, მათ შორის დეპოზიტით ან/და ფულადი თანხებით უზრუნველყოფილი საკრედიტო პროდუქტის პირობებს;

9.5.20. წყვეტს ნებისმიერ სხვა საკითხს, რომელიც შესაძლოა სამეთვალყურეო საბჭომ და/ან აქციონერთა საერთო კრებამ დაავალოს დირექტორატს (ან დირექტორატის რომელიმე ერთ წევრს);

9.5.21. იცავს წინამდებარე წესდებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

9.6. დირექტორატს ან/და დირექტორებს უფლება აქვთ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში განახორციელონ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და წინამდებარე წესდებით მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების დელეგირება სხვა პირებზე ან/და სტრუქტურულ ერთეულ(ებ)ზე;

9.7. ბანკის დირექტორატის საქმიანობას წარუძღვება გენერალური დირექტორი. გენერალური დირექტორი უფლებამოსილია დამოუკიდებლად წარმოადგინოს ბანკი ნებისმიერი პირის წინაშე. გენერალური დირექტორი უფლებამოსილია მინდობილობის გარეშე იმოქმედოს ბანკის სახელით. გენერალური დირექტორის არყოფნისას ან ნებისმიერ დროს, როდესაც გენერალური დირექტორი გადაწყვეტს, ბანკის სახელით მოქმედების უფლებამოსილება გადაეცემა ერთ-ერთ დირექტორს გენერალური დირექტორის მიერ ბანკის სახელით გაცემული მინდობილობის ან სხვა დოკუმენტის საფუძველზე. ასეთი დოკუმენტის არარსებობის და იმავდროულად, გენერალური დირექტორის არყოფნის შემთხვევაში ბანკის სახელით მოქმედების უფლებამოსილება ენიჭება იმ დირექტორს, რომელსაც ბოლოს გააჩნდა ასეთი უფლებამოსილება;

9.8. ბანკის ნებისმიერი გარიგება, ხელშეკრულება ან შიდა პროცედურის განმსაზღვრელი ნებისმიერი დოკუმენტი, ბრძანება ან ინსტრუქცია, თუ არ განხორციელებულა გენერალური დირექტორის ხელმოწერით, შესაძლოა განხორციელდეს დირექტორატის ყველა დანარჩენი წევრის ხელმოწერით.

9.9. გენერალური დირექტორი:

9.9.1. ხელმძღვანელობს დირექტორატის სხდომებს, ზედამხედველობას უწევს დირექტორატის, სამეთვალყურეო საბჭოსა და აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებების შესრულებას, ანაწილებს ფუნქციებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დროდადრო დამტკიცებული ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურის შესაბამისად, ბანკის დირექტორატის წევრებსა და ბანკის სხვა ხელმძღვანელ პირებს შორის და ამ მიზნით გამოსცემს შესაბამის ბრძანებებს, ინსტრუქციებსა და სხვა მითითებებს;

9.9.2. ბანკის სახელით მოქმედებს დამოუკიდებლად, კონკრეტულ ქმედებასთან მიმართებაში სამეთვალყურეო საბჭოს ან აქციონერთა საერთო კრების ნებისმიერი შესაძლო ნებართვისა და თანხმობის საჭიროების გათვალისწინებით;

9.9.3. სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს რეკომენდაციებს ბანკის დირექტორატის წევრების ანაზღაურებისა და პრემიების შესახებ;

9.9.4. უზრუნველყოფს თანამშრომლებთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმებას და ათავისუფლებს მათ დაკავებული თანამდებობიდან; წყვეტს თანამშრომელთა მიმართა წახალისების ან/და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების საკითხს;

9.9.5. ერთპიროვნულად ხელს აწერს ბანკის სახელით გასაფორმებელ ნებისმიერ ხელშეკრულებას ან/და გარიგებას, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

9.9.6. ამტკიცებს ბიზნეს პროცესებს, საკრედიტო და საოპერაციო საქმიანობის მარეგულირებელ ან/და ბანკის ყოველდღიურ მართვასთან დაკავშირებულ პროცედურებს, ინსტრუქციებს, ბრძანებებს, სახელმძღვანელოებს და სხვა დოკუმენტებს;

9.9.7. წყვეტს საბანკო პროდუქტ(ებ)თან და ბანკის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს და ბანკის მიზნების მისაღწევად ახორციელებს ნებისმიერ სხვა საქმიანობას, გარდა იმ ფუნქციებისა, რომლებიც ეკისრება აქციონერთა საერთო კრებას ან სამეთვალყურეო საბჭოს.

9.10. ბანკის გენერალური დირექტორი უფლებამოსილია მოახდინოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილებისა და საკუთარი ფუნქციების დელეგირება ბანკის დირექტორატის წევრ(ებ)ზე, შესაბამისი დეპარტამენტის ხელმძღვანელ(ებ)ზე, ფილიალებისა და სერვის-ცენტრების ხელმძღვანელ(ებ)ზე და ნებისმიერ პირ(ებ)ზე, რომელსაც საჭიროდ მიიჩნევს გენერალური დირექტორი;

9.11. დირექტორატის ნებისმიერ წევრს აქვს უფლება მოსთხოვოს სამეთვალყურეო საბჭოს ამ უკანასკნელის სხდომის ჩატარება და მიმართოს ამგვარ სხდომას.

## მუხლი 10. აუდიტის კომიტეტი და შიდა კონტროლი

10.1. სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, სამეთვალყურეო საბჭოს წევრთაგან იქმნება აუდიტის კომიტეტი. აუდიტის კომიტეტის წევრთა უმრავლესობას უნდა შეადგენდნენ სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი. აუდიტის კომიტეტის წევრად ვერ დაინიშნება პირი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს აუდიტის კომიტეტის წევრობის შესახებ;

10.2. აუდიტის კომიტეტს აქვს შემდეგი უფლებები და მოვალეობები:

10.2.1. ბანკისთვის დააწესოს ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების წესები, ზედამხედველობა გაუწიოს ასეთი წესების დაცვას და შეამოწმოს ბანკის ბუღალტრული ანგარიშები და ჩანაწერები ბანკის შიდა აუდიტის დეპარტამენტის მეშვეობით;

10.2.2. ზედამხედველობა გაუწიოს ბანკის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის დაცვას;

10.2.3. დაამტკიცოს ბანკის შიდა აუდიტის დეპარტამენტის დებულება და უზრუნველყოს მისი ფუნქციონირება;

10.2.4. დაამტკიცოს ბანკის შიდა აუდიტის დეპარტამენტის სამუშაო გეგმა მომდევნო ფისკალური წლისთვის;

10.2.5. შეისწავლოს ბანკის შიდა აუდიტის დეპარტამენტის კვარტალური ანგარიშები, დაამტკიცოს და სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატს წარუდგინოს აუდიტორული შემოწმებები და რეკომენდაციები;

10.2.6. ზედამხედველობა გაუწიოს ბანკის შიდა აუდიტის დეპარტამენტის მუშაობას, უზრუნველყოს მისი საქმიანობის კვარტალურ და წლიურ გეგმებთან შესაბამისობა;

10.2.7. შეაფასოს ბანკის შიდა აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელისა და ცალკეული აუდიტორების მიერ გაწეული მუშაობა;

10.2.8. დაამტკიცოს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ შედგენილი წლიური სამუშაო პროგრამა და ყოველკვარტალურად გადახედოს აღნიშნულ გეგმას;

10.2.9. შეაფასოს შიდა აუდიტის დეპარტამენტის თითოეული თანამშრომლის მიერ გაწეული სამუშაო პროფესიონალიზმისა და კვალიფიკაციის მიხედვით და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები;

10.2.10. ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატთან ერთად უზრუნველყოს შიდა აუდიტის დეპარტამენტის თანამშრომლობა ბანკის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან;

10.2.11. ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგინოს რეკომენდაციები შიდა აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელისა და მისი მოადგილის დაქირავების ან გათავისუფლების, ასევე მათი შრომის ანაზღაურების შესახებ, ან უშუალოდ განახორციელოს წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული ქმედებები, თუ აღნიშნული მოითხოვება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და რეგულაციებით;

10.2.12. დირექტორატს წარუდგინოს რეკომენდაციები (შიდა აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელთან შეთანხმებით) შიდა აუდიტის დეპარტამენტის სხვა თანამშრომლების დაქირავების და გათავისუფლების შესახებ; ასევე აღნიშნული თანამშრომლების

შრომის ანაზღაურების შესახებ, თუ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით ან/და რეგულაციებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

10.2.13. ხელი შეუწყო ბანკში გარე აუდიტორების საქმიანობას.

10.3. აუდიტის კომიტეტის სხდომა იმართება სულ მცირე კვარტალში ერთხელ. განსაკუთრებულ შემთხვევებში სხდომა შეიძლება მოწვეულ იქნას სამეთვალყურეო საბჭოს მოთხოვნის შემთხვევაში. აუდიტის კომიტეტი გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით. აუდიტის კომიტეტის სხდომას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელსაც ირჩევს სამეთვალყურეო საბჭო.

### **მუხლი 11. გარიგებები დაკავშირებულ პირებთან**

11.1. წინამდებარე მეთერთმეტე მუხლის მიზნებისთვის, „დაკავშირებული პირი“ ნიშნავს ნებისმიერ პირს, რომელიც წარმოადგენს: (i) ბანკის გამოშვებული აქციების ხუთი ან მეტი პროცენტის მფლობელს და/ან სხვაგვარად აკონტროლებს ბანკის ხმის უფლების მქონე აქციების ხუთ ან მეტი პროცენტს (თუ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით ან/და რეგულაციებით ბანკისთვის სავალდებულო უფრო დაბალი ნიშნული არ არის დადგენილი); (ii) სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატის, აუდიტის კომიტეტის წევრს და სხვა ხელმძღვანელ თანამშრომელს, როგორც ეს განსაზღვრულია ბანკის მოქმედი შიდა პოლიტიკა/პროცედურებით ან/და მოქმედი კანონმდებლობით; (iii) კომპანიას, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს ბანკს, ან კონტროლდება ბანკის მიერ ან ბანკთან ერთად; და (iv) ნებისმიერ სხვა პირს (იურიდიული ან ფიზიკური), რომელიც მიიჩნევა დაკავშირებულ პირად საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით და/ან ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ;

11.2. ბანკი და მისი მმართველი ორგანოები ვალდებული არიან ყოველთვის დაემორჩილონ შესაბამისი საბანკო და ფასიანი ქაღალდების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებსა და შეზღუდვებს დაკავშირებულ პირებთან დასადებ გარიგებებთან მიმართებაში, აგრეთვე საქართველოს და/ან იმ სხვა ქვეყნების შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოების მიერ დადგენილ წესებს, დებულებებს და ინსტრუქციებს, სადაც იკავრება ბანკის ფასიანი ქაღალდები;

11.3. დაკავშირებულ პირთან დასადები ნებისმიერი გარიგების წინასწარი დამტკიცება უნდა მოხდეს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ან აქციონერთა საერთო კრების მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით.

### **მუხლი 12. კონფიდენციალურობა**

12.1. თუკი სხვაგვარად არ იქნა გადაწყვეტილი სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, დირექტორატი და ბანკის სხვა ხელმძღვანელი პირები ვალდებული არიან არ გამოიყენონ, გამოაქვეყნონ, გაავრცელონ ან განუცხადონ რომელიმე პირს, გარდა ბანკის იმ თანამდებობის პირებისა ან თანამშრომლებისა ვის კომპეტენციასაც განეკუთვნება აღნიშნული, მათთვის ცნობილი ნებისმიერი კონფიდენციალური ინფორმაცია ბანკის საქმიანობის, ხარჯების, ფინანსური ან საკონტრაქტო გარიგებების ან სხვა შეთანხმებების, ტრანზაქციების ან საქმიანი ურთიერთობების შესახებ. მათ უნდა მიმართონ ყველა გონივრულ ზომას, რათა თავიდან იქნას აცილებული ნებისმიერი კონფიდენციალური ინფორმაციის გამოქვეყნება ან გაცხადება აღნიშნულ საკითხებზე;

12.2. იმ შემთხვევაში, თუ სამეთვალყურეო საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას ბანკის შერწყმის, მის მიერ სხვა კომპანიის შესყიდვის ან სხვა მსგავსი გარიგების დადების შესახებ, დირექტორატი უფლებამოსილი იქნება მიაწოდოს (ასეთი გარიგების წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელ ფარგლებში); კონფიდენციალური ინფორმაცია შესაბამის კონტრაგენტ(ებ)ს, მის (მათ) მრჩევლებს, კონსულტანტებს ან აგენტებს, რომლებიც თავიანთი მოვალეობებიდან გამომდინარე ნამდვილად საჭიროებენ აღნიშნული კონფიდენციალური ინფორმაციის ცოდნას და რომელთაც ეცნობება ასეთი ინფორმაციის კონფიდენციალურობის შესახებ;

12.3. კონფიდენციალურობის ზემოაღნიშნული დებულებები არ ვრცელდება იმ ინფორმაციაზე, რომელიც: (ა) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ითვლება საჯარო ინფორმაციად და მისი გაცხადება სავალდებულოა შესაბამისი კანონმდებლობის შესაბამის მოთხოვნათა გათვალისწინებით; (ბ) საჯარო გახდა სხვა (არა ბანკთან დაკავშირებული) წყაროებიდან;

12.4. ნებისმიერი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც მიეწოდება ბანკის ნებისმიერ აქციონერს და რომელმაც, სამეთვალყურეო საბჭოს აზრით, შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს აქციონერების მიერ ინვესტიციის განხორციელების გადაწყვეტილებაზე, აუცილებლად იმავე მოცულობით უნდა ეცნობოს ბანკის დანარჩენ აქციონერებსაც.

### **მუხლი 13. ბანკის საქმიანობის შეწყვეტა**

13.1. ბანკის საქმიანობის შეწყვეტა განხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

13.2. ბანკის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია განხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### **მუხლი 14. ფილიალები**

ბანკის დირექტორატის გადაწყვეტილების საფუძველზე ბანკს შეუძლია ფილიალების დაფუძნება საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. ასეთი ფილიალები არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს. ფილიალის შექმნა უნდა განხორციელდეს საქართველოს მოქმედი

კანონმდებლობის შესაბამისად და საბანკო სექტორის ზედამხედველის ფუნქციის მქონე შესაბამისი ორგანოს მიერ დადგენილი წესებით და პირობებით. ფილიალების საქმიანობის შეწყვეტა უნდა განხორციელდეს დირექტორატის თანხმობით.

### **მუხლი 15. სხვადასხვა დებულებები**

- 15.1. წინამდებარე წესდება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და უნდა დამტკიცდეს აქციონერთა საერთო კრების მიერ ან ბანკის 75%-ზე მეტი ხმის უფლების მქონე აქციათა მფლობელის გადაწყვეტილებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- 15.2. თუ წესდების რომელიმე დებულება გახდა ბათილი, ეს გავლენას არ მოახდენს მთლიანად წესდების ნამდვილობაზე;
- 15.3. წინამდებარე წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული რაიმე შეუსაბამობის შემთხვევაში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ წესებს მიენიჭებათ უპირატესობა წინამდებარე წესდების დებულებებთან მიმართებაში.

-----  
**ვასილ ხოდელი**  
**გენერალური დირექტორი**  
სს „ლიბერთი ბანკი“